◆

სურათზე: სუმგაითელი და რუსთაველი კალათბურთელები მეგობრულად საუბრობენ. (მარცხნიდან) ა. სავადოვა, ვ. ლარიონოვა (სუმგაითი), დ. ჩაჩავა, ე. დურმიშიძე და ე. აბაიშვილი (რუსთავი).

ფოტო ა. **ჩემიანისა.**

ლენინის სახელობის სუმგაითის მილსაგლინავი ქარხნის დისპეჩერი.

◆



მეგობრები კვლავ შეხვდნენ

რუსთავი-სუმგაითი — ქალაქი-ძმები მტკიცედ მიაბიჯებენ კომუნისტურ საზოგადოებისაკენ, ეჯიბრებიან ერთმანეთს კომუნისტური შრომის ქალაქის სახელწოდებისათვის.

მაგრამ ეჯიბრებიან ერთმანეთს არა მარტო მეტალურგები და მშენებლები, ყოველ წელს სპორტულ მოედნებზე ერთმანეთს ხვდებიან ამ ორი ქალაქის ფიზკულტურელები.

ამას წინათ რუსთავში ჩამოვიდა აზერბაიჯანის ლენინის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის სპორტსმენთა დიდი ჯგუფი. შეჯიბრების წინ ორი ქალაქის სპორტსმენებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება, უამბეს შრომითი წარმატებების, სწავლისა და ცხოვრების შესახებ. საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრება ჭადრაკში, ჭიდაობაში, ძალოსნობასა და კალათბურთში. ახლა ქალაქ სუმგაითში ლენინის სახელობის აზერბაიჯანის მილსაგლინავი ქარხნის სპორტულ დარბაზში მიმდინარეობს მეგობრობის მატჩი ბაქო-რუსთავი-სუმგაითის ქალთა და ვაჟთა კალათბურთელ გუნდებს შორის.

ამ მეგობრულ შეჯიბრებებში არ არსებობს გამარჯვებულები და დამარცხებულები. იმარჯვებს მხოლოდ მეგობრობა და ამხანაგობა. ასეთი შეხვედრები ხელს უწყობენ ოსტატობის ამაღლებას და ამტკიცებენ მეგობრობას,

10
თებერვალი,
კვირა,
1963 წ.
№ 29 (2134)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 3 კაპ.

პირველი მატჩი

აშშ-ს ჰოკეისტთა ნაკრებმა გუნდმა პირველი მატჩი ჩაატარა მოსკოვში ჩვენი ქვეყნის ნაკრებთან. შეხვედრა სტუმრებისათვის არასახარბიელო შედეგით დამთავრდა. საბჭოთა ნაკრებმა ყოველ პერიოდში 4-4 შაიბა გაიტანა ამერიკელთა კარში, თავისაში არ მიიღო არც ერთი და გაიმარჯვა დიდი ანგარიშით — 12:0.

შაიბები გაიტანეს: ბ. მაიოროვმა და სტარშინოვმა — სამ-სამი, პარამიშკინმა — 2, ალექსანდროვმა, ალმეტოვმა, ვოლკოვმა და იაკუშევმა — თითო-თითო.

ევროპის ჩემპიონატზე

ბუდაპეშტში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ციგურებით ფიგურულ სრიალში დამთავრდა ასპარეზობა ვაჟთა შორის ერთეულთა გამოსვლებში. აქ კვლავ მოიპოვა გამარჯვება ფრანგმა ალენ კალმამ. მეორე ადგილზე გამოვიდა გერმანელი მ. შნელორფერი (გფრ), ხოლო მესამეზე — ავსტრიელი ე. დანცერინი.

საბჭოთა მოციგურე ვაჟებიდან საუკეთესო შედეგი ჰქონდა ვ. მეშკოვს, რომელმაც დაიკავა VII ადგილი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

სახალხო დათვალიერება

საუბარი სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან, სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის მთავარ მსაჯთან ლ. ხომენკოვთან

შეიძლება ითქვას, რომ სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადა ისე როგორც წინა სპარტაკიადები, სპორტში ნიჭიერთა სახალხო დათვალიერებაა, რადგან მასობრივ ფიზკულტურული მოძრაობის დაუშრეტელმა წყარომ საბჭოთა სპორტი აიყვანა მაღალ საფეხურზე. ყოველი სპარტაკიადა ჩვენი სპორტის ახალი წარმატების საწინდარია, კომუნიზმის მშენებელი უშიშარი და სულით ძლიერი ახალგაზრდობის სპორტული წრთობის სკოლაა. და ამიტომ ახლაც მომავალი სპარტაკიდა სპორტში ახალი ტალანტების აღზრდის ახალი ეტაპი უნდა იყოს. ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — გავზარდოთ საბჭოთა ფიზკულტურელების რიგები და გამოვიყენოთ ეს ბაზა ათასობით ახალი ოსტატის მოსამზადებლად.

შემთხვევითი არაა, რომ სპარტაკიადისათვის მზადებას ჩვენ ვუკავშირებთ ოსტატობის შემდგომი სრულყოფის პრობლემებს. შეჯიბრებათა ჩატარების ხარისხი, აქ ნაჩვენები მაღალი სპორტული შედეგები უნდა აინტერესებდეთ როგორც მონაწილეებს, ისე ორგანიზატორებს. დასამალი არაა, რომ ჩვენთან კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ შეჯიბრება ჩაატარონ ფორმალურად, მონაწილენი გამოიყვანონ ჩათვლის გულისათვის. სისტემატურ სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას ამჯობინებენ ნაკრები გუნდების დაკომპლექტების საქმეს, მაშინ, როცა მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საქალაქო კალენდარების სწორად შედგენას, მის ზუსტად შესრულებას. ანიჭებს რა ამ საქმეს დიდ მნიშვნელობას, ცენტრალურმა სპორტკავშირმა გადაწყვიტა მარტში მოიწვიოს საკავშირო თათბირი, რომლის მიზანი იქნება საქალაქო კალენდარით გათვალისწინებულ შეჯიბრებათა ჩატარების გამოცდილების გაზიარება.

შეჯიბრებებში სისტემატური მონაწილეობა ხელს უწყობს მონაწილეებს შეიძინონ საკუთარი კოლექტივისადმი ერთგულების, არჩეულ სპორტულ სახეობებში სისტემატური წვრთნის აუცილებლობის გრძნობა. ამიტომ ქალაქებში შეჯიბრებათა რამდენიმე ტურად ჩატარებას, მათში ყველა სპორტსმენის ჩაბმას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ვთვლით, რომ შეჯიბრებები უნდა ატარებდნენ წმინდა გუნდურ ხასიათს, ხელს უწყობდნენ ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციულად გამტკიცებას, ახალი ტალანტის გამოვლინებას.

ახლა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე პირად შეჯიბრებათა შესახებ. მათში დაიშვებიან მხოლოდ სპორტის ოსტატები, ხოლო გუნდურ ჩათვლაში — მხოლოდ პირველთანრიგოსნები. ეს იმიტომ კეთდება, რომ უძლიერესთა საინტერესო ბრძოლებში გამოვლინდეს სპორტში რეზერვები, თვალნათლივ დავინახოთ სასწავლო-საწვრთნელ საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები.

სპარტაკიადის სეზონი მდიდარია მოვლენებით. საზაფხულო სტარტებს წინ უსწრებს კროსმენთა შეჯიბრებები გაზეთ „პრავდის" ჯილდოზე. ეს მასობრივი ღონისძიება ახალგაზრდების დიდ რაოდენობას მიიზიდავს. მიმდინარე სპორტულ სეზონში ჩვენი ქვეყნის 25 ქალაქში ჩატარდება 215 საკავშირო შეჯიბრება, გაიმართება 53 საკავშირო პირველობა, რომელთაგან 23 შევა ხალხთა III სპარტაკიადის პროგრამაში. მოსალოდნელია, რომ ამ შეჯიბრებებით გამართული ბრძოლები საშუალებას მოგვცემს შევავსოთ ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდები. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სპარტაკიადის პროგრამაში ჭარბობს სპორტის ზაფხულის სახეობები. ამიტომ ამჟამად აუცილებელია სწორად მოვაწყოთ საწვრთნელი მეცადინეობები, რადგან ზაფხულის სეზონში მაღალი შედეგების ჩვენებას საფუძველი ეყრება ზამთარსა და გაზაფხულზე.

სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებათა პროგრამა ფართოა. მოკავშირე რესპუბლიკათა ნაკრებ გუნდებს შეჯიბრებებში მოუწევთ 23 სპორტულ სახეობაში გამოსვლა. სპარტაკიადის ფინალში გამოვა 11 ათასი კაცი, მაშინ, როცა რომის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობდა მხოლოდ 6 ათასამდე სპორტსმენი. თვითეული რესპუბლიკის ნაკრებ კოლექტივში შევა 700 მონაწილე. აქ იქნებიან არა მხოლოდ წამყვანი ოსტატები, არამედ მოსწავლეები, ფიზკულტურული კოლექტივების წარმომადგენლები.

მეორე — საპატიო ადგილზე

ტალინში დამთავრდა ზამთრის საკავშირო გუნდური პირველობა ჩოგბურთში. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ესტონეთის, საქართველოს, უკრაინის, რუსეთის ფედერაციის, ლენინგრადისა და მოსკოვის ჩოგბურთელთა კოლექტივები. დაძაბული ბრძოლის შემდეგ ფინალში გავიდნენ ესტონეთისა და საქართველოს ჩოგბურთელები. ამ მატჩში ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა იყო ლეიუსსა და მეტრეველს შორის. დრამატული მომენტებით აღსავსე ორთაბრძოლა დამთავრდა პირველის გამარჯვებით — 9:7, 6:3. ამ გუნდებს შორის პირველობის ბედი მაინც უკანასკნელმა — წყვილთა შეხვედრამ გადაწყვიტა: ესტონელების — ლეიუსისა და კულის პირისპირ იდგნენ საქართველოს სპორტსმენები ერმოლოვა და მეტრეველი. დაძაბული ბრძოლა ესტონელთა გამარჯვებით აღინიშნა. შედეგად საქართველოს ნაკრები გუნდი II ადგილზე გავიდა. მოსკოველებმა მოუგეს უკრაინელებს — 5:4 და გავიდნენ III ადგილზე.

დღეს ტალინში იწყება ჩოგბურთელთა პირადი პირველობა.

საბჭოთა მოჭიდავეები გაემგზავრებიან იაპონიაში

ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოჭიდავეები გულმოდგინედ ემზადებიან სეზონის საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისათვის. მოსკოვში გაძლიერებულ წვრთნას გადის საბჭოთა კავშირის ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში. მოეწყო რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა. ნაკრების კანდიდატთა შორის, რომელმაც გამოავლინა ჩვენი ქვეყნის ნაკრების პირველი ნომრები. ყველა 8 წონით კატეგორიაში.

16 თებერვალს საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი გაემგზავრება იაპონიაში, სადაც გამართავს 4 ამხანაგურ შეხვედრას ადგილობრივ მოჭიდავეებთან.

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში შევიდნენ: ლიტვინი (უმჩატესი წონა), მჭედლიშვილი (მჩატე წონა), რუბაშვილი (ქვემსუბუქი წონა), ბერიაშვილი (მსუბუქი წონა), სალარაძე (ქვესაშუალო წონა), ალბული (საშუალო წონა), აიხანოვი (ქვემძიმე წონა), მედვედი (მძიმე წონა).

ტოკიოში და სხვა ქალაქებში გამართავენ საჩვენებელ შეხვედრებს საბჭოთა ძიუ-დოისტებიც. ამ მიზნით ნაკრების შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ბერუაშვილიც.

ახლოვდება ფეხბურთის სეზონი. „ა“ კლასის გუნდები გაცხოველებით ემზადებიან მომავალი გათამაშებისათვის. ჩვენს სურათებზე ნაჩვენებია ამ მზადების ფრაგმენტები.

ზევით — ალმა-ატის „კაირატის“ ფეხბურთელებმა წელს მიიღეს შესანიშნავი საჩუქარი — ახალი სპორტული დარბაზი. გუნდმა აქ დაიწყო მოსამზადებელი წვრთნა. ქვევით მარცხნივ — მოსკოვის „სპარტაკის“ მოთამაშეები დარბაზში მეცადინეობენ ტექნიკური ელემენტების ათვისებაზე. მარჯვნივ — ბაქოს „ნეფტიანიკის“ ვარჯიში საერთო ფიზიკურ მომზადებაზე.

ფოტო
ვ. გრუბნიოვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საუბარი ძალის შესახებ

რას წარმოადგენს ძალის განვითარება?

ამ კითხვას რამდენიმე სახის პასუხი აქვს: ფიზიოლოგიური, მეთოდური და სპეციალური (სპორტსმენთა სპეციალობის თვალსაზრისით). სანამ შევუდგებოდეთ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას, გადავხედოთ თუ რა მოხდა სპორტში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში.

რამდენიმე მაგალითი: ცნობილი საბჭოთა შტანგისტის ს. ამბარცუმიანის რეკორდი სამჭიდში (437 კილოგრამი) ახლა გადალახულია ქვესაშუალო წონის ძალოსანთა მიერ, ხოლო მსუბუქი წონის ძალოსნები მჭიდროდ მიუახლოვდნენ მას. მძიმე წონის ძალოსნებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ი. ვლასოვის მსოფლიო რეკორდი 550 კილოგრამს უდრის.

1937 წელს კოტკუნმა დაამყარა საბჭოთა კავშირის რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში — 201 სანტიმეტრი. ეს რეკორდი ათეულ წლებზე მეტ ხანს ცოცხლობდა, ახლა კი ჩვენს ქვეყანაში 100-ზე მეტი სპორტსმენი ხტება 2-მეტრიან თამასაზე, ხოლო ვ. ბრუმელის მსოფლიო რეკორდი 227 სანტიმეტრს უდრის.

ამერიკელი ტორანსის მსოფლიო რეკორდი ბირთვის კვრაში უდრიდა 17 მეტრსა და 40 სანტიმეტრს და თავის დროზე აბსოლუტურ რეკორდად იქნა გამოცხადებული ყველა დროისათვის. ახლა მსოფლიო რეკორდი 20 მეტრს გადაცდა.

ამ წლებში გასაოცარი ძვრები მოხდა სპორტში ძირითადად იმის გამო, რომ ძალის განვითარების საკითხში უფრო ღრმად ჩავიხედეთ და წვრთნის მეთოდებიც გარდაიქმნა. განსაზღვრული როლი ითამაშა ტექნიკის სრულყოფამაც, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს.

რა ცვლილებებია წვრთნაში? გავარჩიოთ ეს მძლეოსნობის მაგალითზე. ადრე მძლეოსნები ვარჯიშობდნენ სეზონის დროს (გაზაფხულზე, ზაფხულსა და ნაწილობრივ შემოდგომაზე), შემდეგ კი ისვენებდნენ. თვით წვრთნა ერთფეროვნებით გამოირჩეოდა, ე. ი. მძლეოსანი ყოველთვის იმ სახეობაში ვარჯიშობდა, რომელშიც გამოდიოდა.

ახლა მძლეოსნები სრულწლიურად ვარჯიშობენ, ამასთან წელიწადში ორჯერ აღარ მუშაობენ ტექნიკურ შედეგებზე და 1-2 თვე ვარჯიშობენ ძალის განვითარებასა და ტექნიკის სრულყოფაზე.

მაგრამ განა არ შეიძლება ძალის განვითარება მძლეოსნური ვარჯიშებით? შეიძლება, მაგრამ ძალის მატების სიჩქარე მაშინ ერთობ მცირეა, წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ მძლეოსანმა უნდა განავითაროს ბარძაყის ამწევი კუნთების ძალა. მას შეუძლია მთელს სტადიონს შემოურბინოს ბარძაყების მაღლა აწევით. ასეთი ვარჯიში ძალზე დაღლის მას, მაგრამ არა იმიტომ, რომ დიდი დატვირთვა დააწვა ბარძაყის კუნთებს, არამედ იმიტომ, რომ იგი დაიღლება დატვირთვისაგან საერთოდ. თუ ვივარაუდებთ, რომ მორბენლის ყოველი ნაბიჯი ამ ვარჯიშის დროს 150 სანტიმეტრს უდრიდა, მას ფეხების აწევა შეუსრულებია 133-ჯერ, ამასთან კუნთებს მოუხდათ მხოლოდ ფეხის სიმძიმის აწევა და ფაქტიურად უმნიშვნელო დატვირთვა დააწვათ.

ახლა წარმოვიდგინოთ სხვა სურათი. სპორტსმენი ადგილზე დგას და ბარძაყთან ხელით იმაგრებს 1-ფუთიან სიმძიმეს. ბარძაყის აწევასთან ერთად მაღლა იწევა სიმძიმეც. დაიღლება რა ერთ ფეხზე ვარჯიშით, სპორტსმენი გადადის მეორე ფეხზე და როცა ეს ფეხიც დაიღლება, პირველი უკვე დასვენებულია და შეუძლია ამოძრავდეს, მაგრამ თვით სპორტსმენი ამ დროს სრულიად დაუღლელია.

იგივე შეიძლება ითქვას სხვა სპეციალობის სპორტსმენებზე. მაგალითად, ჭიდაობა შესანიშნავად ავითარებს ადამიანის კუნთებს მთლიანად, მაგრამ თუ ამოცანად დავისახავთ ძალის გაზრდას, შეხვედრები ამისათვის არ გამოდგება იმავე მიზეზით. მოჭიდავე დაიღლება 10-15 წუთის შემდეგ. მას 20-წუთიანი დასვენება სჭირდება, ხოლო ზურგის კუნთების ძალა მთელი შეხვედრის განმავლობაში მან საკმაო საჭირო ეფექტით მხოლოდ 2-3-ჯერ გამოიყენა. სხვა საკითხია, თუ იგი დახრებს გააკეთებს დიდი წონის შტანგით მხრებზე. ამ შემთხვევაში იგი კარგ დატვირთვას მისცემს კუნთებს და დიდად არ დაიღლება. ამრიგად, ნათელია, რომ ძალის განვითარებისათვის საჭიროა კუნთები დავტვირთოთ ლოკალურად და არა მთლიანად.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ცალკე ძალის განვითარება დანარჩენი წვრთნის დროს ხსნის ამ ამოცანას, მაგრამ ძალის ასეთ განვითარებას ჰქონდა ადგილი და ამიტომ ჩვენ აქ ამაზე აღარ შევჩერდებით.

ჩვენ ახლა ვიცით როდის ვიმუშაოთ ძირითადად ძალის განვითარებაზე, მაგრამ როგორ ვივარჯიშოთ? ყველაფერი დამოკიდებულია მიზანზე, თუ რას უნდა მივაღწიოთ.

თუ გვინდა უმთავრესად კუნთური სისტემა განვავითაროთ, საჭიროა ვივარჯიშოთ პატარა წონის საწონებით, მაგრამ დიდი რაოდენობის განმეორებებით (50-მდე განმეორებით ცალკეული კუნთების ჯგუფისათვის 3-4-ჯერ კვირაში). ამგვარი ვარჯიშების შესრულება საერთო ფიზიკური განვითარებისათვის ზიანის მიუყენებლად შეიძლება მხოლოდ 16 წლის ასაკის ზევით და რომელიმე მოძრავ თამაშთან შეთავსებით. სხვანაირად, ასეთი განვითარება შებორკილობას, სიზანტეს გამოიწვევს.

ხამდვილი სპორტსმენები იშვიათად ისახავენ მიზნად უპირატესად კუნთური მასა განავითარონ, ვინაიდან არასაკმაოდ დინამიური მასა წონის მომატებას იწვევს, რაც ხშირ შემთხვევაში არაა სასურველი.

უფრო ხშირად ისახავენ ასეთ ამოცანას — გახადონ კუნთები უფრო ენერგიული. ამისათვის საჭიროა ძალისმიერი ვარჯიში მაქსიმალური სიმძლავრით შევასრულოთ, ანუ რაც შეიძლება სწრაფად, ვინაიდან, სიმძლავრე ეს მუშაობაა დროის ერთეულში.

ამასთან, როგორც ცდებმა გვიჩვენეს (დ. კაპცოვი), ყოველნაირი ტვირთით არ შეიძლება მაქსიმალური სიმძლავრის განვითარება. ტვირთი მაქსიმუმის 85 პროცენტს უნდა უდრიდეს საშუალოდ, ამასთან ამ ვარჯიშების გამეორება უნდა იყოს დიდი.

რომ ავხსნათ ამ მოვლენების მიზეზი, მოკლედ გავარჩიოთ ძალის განვითარების მექანიზმი, დავუბრუნდეთ იმას, რომ ადამიანი იზრდება. იზრდება (სქელდება) მისი კუნთური ბოჭკოებიც. ვინაიდან ძალა დამოკიდებულია კუნთის განივზე, იზრდება ძალაც. თითქოს ეს ერთგვარად ეწინააღმდეგება იმას, რაც ზევით ითქვა, მაგრამ შევეცადოთ გავერკვეთ. ადამიანი ვარჯიშობს. თუ მას ახალი დაწყებული აქვს წვრთნა, ძალა ძალზე სწრაფად ჩნდება, ჯერ კუნთი კი შესამჩნევად არც გაზრდილა. რა ხდება, საიდან გაჩნდა ძალა?

თურმე, ძალის განვითარება დაკავშირებულია იმასთან, რომ პირველ ხანებში ძალის გამოვლინებას ხელს უშლიდნენ სხვა კუნთები, რომლებიც ერთდროულად იძაბებოდნენ და საწინააღმდეგო მხარეს მოქმედებდნენ. ადამიანი ვარჯიშის დროს თანდათან სწავლობს ხელშემშლელი კუნთების მოდუნებას. აი საიდან ჩნდება პირველი საგრძნობი ნახტომი ძალის მაჩვენებლების ზრდაში.

უფრო ხანგრძლივი დროის შემდეგ ძალა კვლავ მატულობს. კუნთის ყველაზე უფრო ზღვრული დაძაბულობის დროსაც კი, ამ კუნთის ყველა კუნთოვანი ბოჭკო ერთბაშად როდი იძაბება, არამედ მხოლოდ ნაწილი. დიდი წონით ვარჯიში დიდი სიმძლავრეების განვითარებასთან ერთად, ხელს უწყობს დიდი რაოდენობის კუნთოვანი ბოჭკოების მუშაობაში ჩაბმას, ანუ იზრდება ცენტრალური ნერვული სისტემიდან ნერვული იმპულსი და მჟღავნდება ადრე რეზერვში მყოფი ძალის შესაძლებლობანი. ამიტომ სპორტსმენები, რომლებსაც ნაკლები რელიეფური მუსკულატურა აქვთ, შემოწმების დროს ხშირად კულტურისტებზე მძლავრნი არიან.

დაბოლოს, ხანგრძლივი მუშაობა ძალაზე, იწვევს კუნთის ბიოქიმიური შემადგენლობის ცვლილებას, რაც ტექნიკური ენით რომ ვთქვათ, მარგი მოქმედების კოეფიციენტს მაღლა სწევს. იბადება კიდევ ერთი კითხვა, როგორაა საქმე იზომეტრული ვარჯიშების საკითხში, რომლის გარშემო ასეთი ხმაური ატყდა საზღვარგარეთულ პრესაში?

როგორც ზევით ვნახეთ, ცოცხალი ორგანიზმი ბევრ შემგუებლობით შესაძლებლობებს ფლობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა მუშაობაც ორგანიზმს მოეთხოვება, მას შეეგუება იგიც.

იზომეტრული ვარჯიშები ეს უმოძრაო ვარჯიშებია. საჭიროა კი ასეთი ვარჯიშები სპორტულ პრაქტიკაში? ზოგჯერ საჭიროა, მაგრამ იშვიათად. ამიტომ, მართალია იზომეტრული ვარჯიშები ავითარებენ მუსკულატურას, მაგრამ მათთვის უპირატესობის მინიჭება დინამიური ვარჯიშების წინაშე არ შეიძლება. გარდა ამისა, დინამიურად მომუშავე კუნთი სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას იწვევს, მაშინ, როცა იზომეტრული ვარჯიშები ქმნიან კუნთების დაჭიმულობას, სუნთქვის რითმის დარღვევას, რაც არასასურველია ორგანიზმისათვის.

ი. ალიხანოვი

შევისწავლოთ ჩვენი მხარე

ასეთი დევიზით ჩატარდა თემატური საღამო, რომელიც ბათუმის ტურისტთა კლუბის გამგეობამ მოაწყო.

საღამოს მონაწილეებმა დაათვალიერეს გამოფენა, რომელიც აქვეა მოწყობილი. შემდეგ მოისმინეს მოხსენება თემაზე „ტურიზმის განვითარება აჭარაში“. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ბორჩხაძემ ილაპარაკა რა ტურიზმის განვითარებაზე აჭარაში, მოიხსენია 1926 წელი, როცა ბათუმის ენთუზიასტთა ჯგუფმა პირველად რესპუბლიკაში სანაოსნო ნავებით მოაწყო გადასვლა მარშრუტით ბათუმი-სოხუმი-ბათუმი, შეეხო აგრეთვე ტურისტული კლუბის მუშაობას და ამოცანებს მომავალში.

მოხსენების შემდეგ ნაჩვენები იქნა კინოფილმები „ბათუმის მენავთობეების ექსკურსია მცხეთაში“, „ბავშვების დასვენება ზაფხულში“ და „ზამთარი ცისკარაზე“. უკანასკნელი სურათი გადაიღო ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კულტურის სახლთან არსებულმა კინომოყვარულთა ჯგუფმა: ინჟინრებმა რ. ხუჭუამ, ოპერატორის თანაშემწემ ტ. ცაგარეიშვილმა და ხარატმა ი. ჯორბენაძემ.

ინტერესით იქნა მოსმენილი ლექცია აჭარის ისტორიის შესახებ, რომელიც გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ნ. ახვლედიანმა.

ბათუმის ტურისტთა კლუბის პირველი ღონისძიების დასასრულს ნაჩვენები იქნა კინოფილმები: „მზიური აჭარა“, „წვიმა“, „ჩვენი სტუმრები“ და სხვ.

გ. მანჯგურია

„სპარტაკის“ რესპუბლი კური

ამ დღეებში ბაკურიანში დამთავრდა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს 1963 წლის პირადი პირველობა სათხილამურო სპორტში.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ სპორტსმენები მესტიიდან, ახალქალაქიდან და ბორჯომიდან.

სპორტსმენებს მაღალი შედეგების მიღწევაში ხელს უწყობდა შესანიშნავი ამინდები.

პირველ დღეს ჩატარდა რბოლები 10 კმ-ზე ვაჟებისათვის და 5 კმ-ზე ქალებისათვის. 10 კმ-ზე რბოლაში I ადგილი წილად ხვდა მ. ასლანიანს (ახალქალაქი) — 35.32, ხოლო II-III ადგილები — მესტიელებს ვ. კორძახიას და რ. გულბანს (შესაბამისად — 36.36 და 36.48).

5 კმ-ზე რბოლაში გამარჯვებულები გამოვიდნენ ბორჯომელები: ვ. აკოფოვა — 22.09, ლ. ბანდური — 22.38 და ლ. ღუდაევა — 23.05.

მეორე დღეს გაიმართა შეჯიბრება სლალომში. ვაჟთა შორის გამარჯვება და სამივე საპრიზო ადგილი ბორჯომელებს დარჩათ. პირველ ადგილზეა ს. კოზანაშვილი (1.10,6), მეორეზე — ს. ბანდური, მესამეზე კი — ი. ნასყიდაშვილი.

რბოლაში 15 კმ-ზე ვაჟთა შორის გაიმარჯვა გ. ხაჩიძემ — 56.05, მეორე ადგილზეა მისივე თანაგუნდელი, ბორჯომელი ნ. ქოქოშვილი — 56.57, ხოლო მესამეზე — მესტიელი თ. კორძახია — 57.00. 10 კმ-ზე რბენაში ქალთა შორის საპრიზო ადგილები კვლავ ბორჯომელებმა ვ. აკოფოვამ — 45.03, ლ. ბანდურმა — 46.26 და ლ. დუდაევამ — 48.55 გაინაწილეს.

სლალომ-გიგანტში, ისევე, როგორც სლალომში, პირველი ადგილი ს. კოზანაშვილს დარჩა—1.14,0, მეორე ადგილზეა ი. ნასყიდაშვილი ს. კოზანაშვილს დარჩა—1.14,0, (სამივე ბორჯომი).

გ. თომაევი,

შეჯიბრების მთავარი მდივანი.

ბევერვიიკის საჭადრაკო ფესტივალზე

ბევერვიიკი პატარა სამრეწველო ქალაქია, თუმცა მას თვითონ ჰოლანდიელები სოფელს უწოდებენ. იგი 20-25 კმ დაცილებულია ამსტერდამს.

ორ ათეულ წელზე მეტია ბევერვიიკის მეტალურგიული კომბინატი აწყობს საჭადრაკო ფესტივალებს. საინტერესოა, რომ I ტურნირში მონაწილეობდა მხოლოდ 4 მოჭადრაკე, ხოლო XXV ფესტივალზე, რომელშიც მე ვმონაწილეობდი, ჩამოვიდა 220 მოჭადრაკე, რომლებიც 12 ტურნირში იყვნენ ჩაბმული.

ბევერვიიკის ფესტივალი ერთჰერქვეშ — კინემერთეატრის შენობაში მიმდინარეობდა. თამაშის პირობები ჩემთვის უჩვეულო იყო. მონაწილენი და მაყურებლები, რომლებიც ძალიან ბევრნი იყვნენ ხოლმე, აქვე შეექცეოდნენ ყავას, წევდნენ თამბაქოს. ტურნირის მონაწილენი ერთ გრძელ მაგიდას მიჯრით ვუსხედით. მეზობელ დარბაზში აჩვენებდნენ კინოფილმებს.

აღსანიშნავია ბევერვიიკელთა ერთი თავისებურება. ფესტივალის ყველა მონაწილე ვცხოვრობდით კერძო ბინებში. მე და ნიკოლაუს გვიმასპინძლდებოდა ინჟინერ კოლის ოჯახი. ერთხელ, თავისუფალ დღეს კეთილმა ინჟინერმა საკუთარი მანქანით დაგვათვალიერებინა ამსტერდამი, როტერდამი და სხვ.

არ ვიტყოდი, რომ ჩვენი ტურნირი ძლიერი შემადგენლობისა იყო. მასში ნამდვილ მეტოქეობას მოველოდი და კიდეც გამიმართლდა რუმინელ ნიკოლაუსაგან და იუგოსლაველ იოვანოვიჩისაგან. იუგოსლაველი თბილისში ყოფნის შემდეგ შესამჩნევად გაძლიერდა. მას ბევერვიიკში ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა. იგი ხომ აქ სამ წელს ზედიზედ პირველ ადგილს იკავებდა! ნიკოლაუ, ჩემის აზრით, უკეთ თამაშობს, ვიდრე იოვანოვიჩი. მოგვიანებით, და არა პირველ ტურში, მათ რომ ერთმანეთში ეთამაშათ, ალბათ, ნიკოლაუ არ წააგებდა პარტიას. იოვანოვიჩთან მოგების შემდეგ ნიკოლაუ მრჩებოდა სახიფათო მეტოქედ. ჩვენი პარტია არ არის ინტერესმოკლებული. აი ისიც:

ა. ნიკოლაუ-ნ. გაფრინდაშვილი

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc3 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. მc3 b5 7. კb3 0—0 8. მd5.

საინტერესო გაგრძელება. ნიკოლაუ სწირავს პაიკს ხანგრძლივი ინიციატივისათვის. მე მივიღე გამოწვევა, ვინაიდან მჯეროდა დაცვის რესურსებისა.

8... მ:e4 9. d4 ed 10. ეe1 მf6 11. მ:e7+ მ:e7 12. კg5 მg6 13. ლ:d4 h6 14. მh4.

ნიკოლაუს გონებამახვილურად მიჰყავს იერიში. f6-ზე გაცვლებით 14. კ:f6 ლ:f6 15. ლ:f6 gf თეთრები ვერაფერ სახარბიელოს ვერ აღწევდნენ.

14... მფh7 15. მ:g6 fg 16. ლh4 d5.

ამ სვლით განვიზრახე თამაშიდან გამომეთიშა კუ b3 და მეორე ეტლი შემეყვანა თამაშში.

17. ეe5 c6 18. ეae1 ეa7 19. f3 ეaf7 20. c3 ლb6+ 21. კe3 ლb8 22. კc5 მd7 23. კ:f8 მ:e5 24. კc5 მd3 25. ეe7 ე:e7 (თუ 25... ეf4, მაშინ 26. კd4) 26. ლ:e7 მ:c5 27. ლ:c5 ლf4 28. მფf2 (ეს აშკარა შეცდომაა. საჭირო იყო 28. h3) 28... ლh4+ 29. მფe2 (ერთადერთი. 29. მფf1 კf5 იქნებოდა) 29... ლ:h2 30. ლ:c6 ლ:g2+ 31. მფe3 ლg1+ 32. მფe2 ლg2+ 33. მფe3 ლg5+ 34. მფe2 ლe5+ 35. მფf2 კe6 36. ლ:a6 h5.

ცაიტნოტში მომიხდა სვლების გამეორება. ახლა ამ პაიკის წინსვლით ბრძოლა სწრაფად მთავრდება.

37. ლb5 h4 38. ლf1 ლg3+ 39. მფe3 h3 40. ლf2 ლe5+ 41. მფd2 h2 42. ლg2 ლh5 43. ლh1 ლg5+ ნიკოლაუ დანებდა.

ამით კიდეც გადაწყდა პირველი ადგილის ბედი.

ტურნირიდან თავისუფალ დროს ვატარებდი ელვისებური პარტიებისა და მაგიდის ჩოგბურთის თამაშში. პარტიებში ვხვდებოდი ოსტატებს, რომლებიც ხალისით მეთამაშებოდნენ. ჩვენს შეხვედრებს ხშირად მაყურებლებიც ჰყავდა.

მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო ელვისებურ ტურნირში, რომელშიც ფესტივალის თითქმის ყველა მონაწილე თამაშობდა. მე მოვხვდი 18 გამარჯვებულს შორის და პრიზიც დავიმსახურე.

ერთხელ სპეციალურად ჩემთან სასაუბროდ ჩამოვიდა ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორი კუიპერი. ის ქართული ენის სპეციალისტია და შარშან სამი დღე დაჰყო თბილისში. „თქვენს დედაქალაქში გატარებული დღეები საუკეთესოა ჩემს ცხოვრებაში“, — მითხრა სტუმარმა. სხვათა შორის მან ისიც მითხრა, რომ თუ ადრე მასთან მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდა სწავლობდა ქართულ ენას, ახლა მათი რიცხვი გაიზარდა.

ფესტივალზე ჭეშმარიტი მეგობრობის ატმოსფერო ტრიალებდა. კმაყოფილი დავრჩი ახალი ნაცნობებით, კეთილისმდომთა შეძენით. მასპინძლებმა გასახსოვრად მიმიწვიეს ოსტატ ვაჟთა ტურნირში.

ჰოლანდიიდან საბჭოთა მოჭადრაკეებს დ. ბრონშტეინს, ი. ავერბახსა და მე ბევრნი გვაცილებდნენ. ეივეს ქალიშვილმა თავისი მამის სახელით ტულპანების თაიგული გადმომცა და გზა დამილოცა.

ნ. გაფრინდაშვილი,

მსოფლიო ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი.

* * *

სურათზე: (მარცხნიდან) ნ. გაფრინდაშვილი აჩვენებს თავის პარტიას ი. ავერბახს, დ. ბრონშტეინსა და პოლონელ ოსტატ ვ. ლიტმანოვიჩს.

ბაკურიანის ტრასებზე

საქართველოს 1963 წლის პირად-გუნდური პირველობა სათხილამურო სპორტში

მოთხილამურეთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მეორე დღეს სპორტსმენთა მაჩვენებლები თითქმის პირველი დღის ასლს წარმოადგენდა. პროგრამაში, საგრძნობი ხარვეზების მიუხედავად, იმ დღეს ნაჩვენები იქნა პირველი თანრიგის 19 შედეგი, მათგან — 15 რბენებში და 4 — ორჭიდში. თუმცა, ამ უკანასკნელში უძლიერესებს — ახალქალაქელ ე. თვაურსა და თბილისელ ჯ. წაქაძეს შეეძლოთ ოსტატობა მოეპოვებინათ. ამ ამოცანის გადაუჭრელობაში სპორტსმენებს როდი მიუძღვით ბრალი. ორჭიდში ოსტატობის ქულების მოგროვების შემთხვევაში ხტომები უნდა ტარდებოდეს დიდი ტრამპლინიდან. მიმდინარე პირველობაზე კი ამ სახეობის წარმომადგენლები დებულების თანახმად 40-მეტრიანი ტრამპლინიდან სცდიდნენ ძალებს.

ორჭიდელთა ხტომების შემდეგ დაწინაურდა ე. თვაური, რომელიც 42 და 42,5 მეტრზე გადახტა და 216,6 ქულა მოაგროვა. ის ორი ქულით ჩამორჩებოდა გ. ნაგოგას (თბილისი). მესამეზე მიდიოდა თბილისელი ფ. თვაური, ხოლო ჯ. წაქაძემ შეძლო მხოლოდ 190,5 ქულის მოგროვება. როგორც ჩანს, ქულათა სხვაობა პირველ და მეორე ადგილებს შორის 26-ზე მეტია, მაგრამ ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და საბოლოო სიტყვა 15 კმ-ზე რბენას უნდა ეთქვა.

ჯ. წაქაძემ 15 კმ გაირბინა 53 წუთში, რისთვისაც 282,63 ქულა მიიღო, ხოლო შეჯიბრების ლიდერმა ე. თვაურმა მასთან 2.08 წუთით წააგო და მიიღო 260,11 ქულა. ამრიგად, რბენაში წაქაძემ 22,52 ქულით გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ ეს საბოლოო გამარჯვებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ მან, 472,13 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა. რესპუბლიკის ჩემპიონობა ე. თვაურს დარჩა, რომლის შედეგია 476,71 ქულა. ეს მაღალი შედეგები გამოწვეულია იმით, რომ ორივე სპორტსმენმა რბენაში I თანრიგის შედეგი აჩვენა. ორჭიდში პირველი თანრიგით დაამთავრეს შეჯიბრება აგრეთვე ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა გ. ნაგოგამ (436,32 ქულა) და მეოთხე ადგილის მფლობელმა ფ. თვაურმა (431,02 ქულა).

ამ დღეს გაიმართა კიდევ ერთი რბენა 15 კმ-ზე, ამჯერად ე. წ. „ხუფთა“ მორბენლებისათვის. ისე როგორც 10-კმ-ზე, აქაც 13 სპორტსმენი „ჩაეტია“ I თანრიგის მოთხოვნებში. გამარჯვებულმა ე. მორდვინოვმა (თბილისი) დისტანცია დაფარა 51.54 წუთში, ხოლო მისი თანაგუნდელი ნ. კოზანაშვილი 36 წამით გვიან მივიდა ფინიშზე. მესამე ადგილი წილად ხვდა კ. მიქაბერიძეს (თბილისი) — 53,06. საერთოდ ჩვენი რესპუბლიკის მორბენალი ვაჟები არასდროს ყოფილან ისე კარგად მომზადებული, როგორც ამ ჩემპიონატში.

პირველ დღესთან შედარებით ერთგვარი უკუსვლა ჰქონდათ ქალებს, რომლებიც ამჯერად ძალებს ცდიდნენ 5 კმ-ზე. თუ ადრე, 10 კმ-ზე რბენაში, ოთხმა თბილისელმა აჩვენა I თანრიგი, ახლა ეს რიცხვი განახევრდა. მართალია, არც ამჯერად შეურცხვენიათ თავი კ. კრუგლოვასა და ე. გავას, რომლებმაც შესაბამისად აჩვენეს 21.25 და 22.10 წუთი, მაგრამ მესამე პრიზიორი ფ. ოსიპოვა (თბილისი) — 22.17 — მეორე თანრიგით დაკმაყოფილდა.

ვაჟთა სპეციალურ სლალომში წარუმატებლობის შემდეგ სპორტის ოსტატებმა ი. ჯანგობეგოვმა და შ. კოზანაშვილმა საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა გიგანტურ სლალომში, რომლის 1100-მეტრიან ტრასაზე დადგმული იყო 35 კარი. შ. კოზანაშვილმა შეძლო საათში დაახლოებით 62 კმ სისწრაფის განვითარება, დისტანცია დაამთავრა 1.01,5-ში და რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა. ი. ჯანგობეგოვი გამოვიდა მესამე ადგილზე — 1.02,9. სპეციალურ სლალომში საქართველოს 1963 წლის ჩემპიონის ღირსება ამ სახეობაშიც წარმატებით დაიცვა გ. აბრამიშვილმა. მან შ. კოზანაშვილთან წააგო 0,4 წამით, მეორე ადგილი მოიპოვა და ორი სახეობის ჯამში კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას სამთო ხამჭიდში.

ქალთა გიგანტურ სლალომში ტრასის სიგრძე უდრიდა 800 მეტრს. დადგმული იყო 30 კარი. სტარტზე გამოვიდა 9 სპორტსმენი. კვლავ მიუწვდომელი აღმოჩნდა ოსტატი ლ. გოგოლაძე — 1.15,2. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ თბილისელი სპორტსმენები ვ. ვასიუკი (1.24,0) და შ. ცნობილაძე (1.25,5).

ორი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინაა თბილისის კოლექტივი, მეორე ადგილზეა მესტია, მესამეზე — ბორჯომი.

ო. ბელაშვილი,

ჩვენი სპეც. კორ.

ოლიმპიადის ქვეყანაში

◆ ტოკიო ემზადება ოლიმპიადისათვის. ამ მრავალმილიონიან ქალაქში, რომლის მოსახლეობა წარმოუდგენელი სისწრაფით იზრდება, დღისით შეუძლებელია მნიშვნელოვანი სამუშაოების წარმოება ქუჩებში. ამიტომ აქ მუშაობენ ღამით: გაჰყავთ მეტროს ახალი ხაზები, მიწასთან ასწორებენ ძველ, დაბალ სახლებს და აშენებენ თანამედროვე ტიპის შენობებს. უკვე ახლა აგებულია რამდენიმე ახალი ბეტონის ესტაკადა და დიდი საავტომობილო მაგისტრალი. მათი ძირითადი დანიშნულებაა ქალაქის ცენტრის შეერთება ჰანედოს აეროპორტთან. ტოკიოს მუნიციპალიტეტის პირველი და უმთავრესი საზრუნავია მოაწესრიგოს საქალაქო მოძრაობა ოლიმპიადის დღეებში.

• • •

◆ მიმდინარე წლის ოქტომბერში იაპონიის დედაქალაქში გაიმართება დიდი საერთაშორისო შეჯიბრება სპორტის 20 სახეობაში, სადაც მონაწილეობას მიიღებს ხუთივე კონტინენტის 400-მდე სპორტსმენი. ოლიმპიადის ორგანიზატორების ვარაუდით ეს იქნება ტოკიოს გენერალური რეპეტიცია მომავალი თამაშებისათვის. მას ასეც ეწოდება: „ოლიმპიური კვირეული“.

* * *

◆ თანამედროვე ფარიკაობას იაპონიაში დიდი გავრცელება არა აქვს, მაგრამ ამომავალი მზის ქვეყანაში უძველესი დროიდან კულტივირებულია ეროვნული სახეობა „კენდო“ — ფარიკაობა მეტრიანი სიგრძის ბამბუკებით. ახლა აქ შერჩეულია ნაკრები გუნდის 50 კანდიდატი, რომლებსაც ავარჯიშებს ცნობილი ფრანგი მწვრთნელი როჟე კრონსნუ.

* * *

◆ ტანვარჯიშის ნაკრებ გუნდში სადღეისოდ 42 ვაჟი და 36 ქალია გაერთიანებული. ოლიმპიადის დაწყებამდე მოეწყობა შესარჩევ შეჯიბრებათა მთელი სერია, რომელთა შედეგადაც დაკომპლექტდება საბოლოო გუნდი. იაპონელები არ მალავენ სურვილს, რომ სწორედ 1964 წლის ოლიმპიური თამაშები იქცეს ტანვარჯიშის იაპონური სკოლის ჭეშმარიტ აპოთეოზად.



სიკვდილთან თამაში

იტალიურმა ჟურნალმა „ვიე ნუოვემ“ („ახალი ცხოვრება“) თავის მოთხრობას ამერიკელ დეივ შარპზე დაურთო ფოტოსურათიც: გატეხა რა ფანჯრის მინები, დეივი მესამე სართულიდან მიფრინავს ქვაფენილისაკენ.

რა არის ეს? სისულელე თუ თვითმკვლელობა? არა! დეივ შარპი ყოფილი სპორტსმენია, იგი ასრულებს თავის მოვალეობას, რომელიც მას ჰოლივუდმა დააკისრა.

განგსტერული სურათები, რომლებსაც ჰოლივუდი უხვად თავაზობდა მაყურებლებს, აღარ სარგებლობს დიდი პოპულარობით. ამიტომ საჭირო იყო ახალი რამის გამოგონება. და აი გამოჩნდა ახალი პროფესია — სხვადასხვა ტრიუკების შესრულება. საჭირო იყო არაადამიანური ილეთების გაკეთება. ეს ადამიანები ფილმებში გამოდიოდნენ მთავარი როლის შემსრულებელთა დუბლიორებად, რომლებიც ფილმის მიხედვით კიბეებიდან, ფანჯრიდან უნდა „გაფრენილიყვნენ“, დინამიტზე აფეთქებულიყვნენ.

დეივ შარპი შვიდი წლის წინათ მოვიდა ჰოლივუდში. მისი დებიუტი წარმატებით დამთავრდა და მას „განუმეორებელი“ უწოდეს. ასაფეთქებელი ნივთიერების წყალობით დეივი აფრინდა ჰაერში ძალზე მაღლა დუგლას ფერბენქსის ფილმში, ამ დღიდან შარპი ცვლიდა კინოვარსკვლავებს ყველაზე საშიშ კადრებში. იგი ხტებოდა ფანჯრებიდან, ვარდებოდა კიბეებიდან, ქვეშ უვარდებოდა სწრაფად მოძრავ ეკიპაჟებს. მაგრამ მისი გამოსვლა ყოველთვის როდი მთავრდებოდა წარმატებით. ხშირად შარპი საავადმყოფოში მიჰყავდათ მიღებული ტრავმის სამკურნალოდ. კინოკომპანიამ, რომელშიც შარპი „მსახურობდა“, დააწესა სპეციალური ტარიფი. აი ზოგი რამ „სიკვდილმისჯილთა“ ბიუჯეტიდან: მაღალი კიბეებიდან თავით ძირს „დაშვება“ — 500 დოლარი, გაშმაგებულ ცხენებთან შებმა — 1500 დოლარი, ფანჯრის ორმაგი მინის გატეხით მესამე სართულიდან გადმოვარდნა — 500 დოლარი.

დეივ შარპი მრავალ ფილმში გადაიღეს და იგი ყოველთვის სიკვდილის საფრთხის წინაშე იდგა. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ არც ერთ ამერიკულ დამზღვევე კომპანიას არ სურს დააზღვევოს შარპის სიცოცხლე. „განუმეორებელს“ ჯვრჯერობით ბედი წყალობს, მას ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულსაც უწოდებენ.



პროფესიული კრივისათვის დამახასიათებელი დევიზია: გამარჯვება ყველა ხერხით და ყველა საშუალებით. ხშირად სპორტსმენები იმდენად არიან გატაცებული გამარჯვების სურვილით, რომ ივიწყებენ ბრძოლის ელემენტარულ წესებს და ვარდებიან საკმაოდ უცნაურ სიტუაციებში.

სურათზე თქვენ ხედავთ შეერთებული შტატების მოკრივეთა ვატკინსის და კალეგოზების შეხვედრის მომენტს. ის ფაქტი რომ ფოტოაპარატის ობიექტივმა ალბეჭდა სწორედ კრივის მომენტი და არა სხვა რამ, დადგენილია რინგით და სპორტსმენთა ტანსაცმლით. სხვა მხრივ ძნელია იმის თქმა, რომ მომენტი ასახავს მოკრივეთა შეხვედრას.

ერთი კარიერის დასასრული

ამ დღეებში მორიგი სკანდალი მოხდა ჰამბურგის პროფესიონალურ რინგზე. ამჯერად საქმოსნების ბნელი მაქინაციების მსხვერპლი აღმოჩნდა დასავლეთგერმანელი მოკრივე ფოლკმარი. იგი იმედოვნებდა, რომ მას რინგი დიდებასა და ფულს მოუტანდა, მაგრამ ფოლკმარის კარიერა გაგრძელდა სულ რაღაც 2 რაუნდი. საქმე იმაშია, რომ ახალბედა ფოლკმარის მეტოქედ რინგზე გამოყვანილი იქნა ცნობილი პროფესიონალი მ. რეში. მენაჯერებს სურდათ რეში უზრუნველეყოთ დამატებითი რეკლამით. სპექტაკლი დადგმული იყო ისე, როგორც ეს საქმოსნებს სურდათ. ბრბოს ღრიანცელსა და სტვენაში რეშმა (იგი ფოლმარზე 10 კილოგრამით მძიმეა) თავისი მეტოქე უმოწყალოდ სცემა. თვით დასავლეთგერმანული პრესაც კი იძულებული იყო ელიარებინა, რომ ბრძოლას საერთო არაფერი ჰქონდა სპორტთან და გამიზნული იყო დაბალი ინსტიქტების გამოვლინებისაკენ. შეიძლება ითქვას, რომ ფოლკმარი კიდევ იღბლად გადარჩა, ვინაიდან იგი ცოცხალი დარჩა. ამ ბოლო წლებში დასავლეთ გერმანიის რინგზე ხომ ათზე მეტი მოკრივე დაიღუპა?

ფეხბურთის ქრონიკა

სოფია. გასული წლის მანძილზე ბულგარელმა ფეხბურთელებმა ჩაატარეს 131 საერთაშორისო მატჩი. აქედან მოიგეს 61, 36 ფრედ დაამთავრეს და 34 წააგეს ბურთების დადებითი შეფარდებით—274:174.

ლონდონი. ფეხბურთის კომენტატორმა მაკდინალდმა გამოაქვეყნა საინტერესო სტატისტიკური მონაცემები იმ ფეხბურთელთა შესახებ, რომელთაც თავიანთ ეროვნულ ნაკრებში თამაშების დიდი რაოდენობა აქვთ ჩატარებული. პირველ ადგილზეა ინგლისელი ბ. რაიტი (105 მატჩი), მეორეზე ნორვეგიის ნაკრების კაპიტანი ტ. სვენსონი (102 მატჩი), მესამეზე — უნგრელი ი. ბოჟიკი (100 მატჩი), შემდეგ მოდიან ავსტრიელი გ. ჰანაპი (91 მატჩი), უნგრელი დ. გროშიჩი (89 მატჩი) და სხვები.



უსიტყვოდ...

ნახ. პ. აბროიანისა.

ორიგინალური ჩემპიონი

ახალგაზრდა იტალიელს ჯიოკანის მეგობრებმა შესთავაზეს თავით ბურთზე ყოველ დარტყმაზე 25 ლირა. მან 8000-ჯერ დაარტყა თავი ბურთს და მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ხოლო ჯიბეში 200000 ლირა ჩაიდო. წინანდელი რეკორდი ეკუთვნოდა იუგოსლავ ზივიჩს და უდრიდა 6004 დარტყმას საათში. იტალიელი უფრო სწრაფი გამოდგა. თავის რეკორდს მან 49 წუთი და 55 წამი მოანდომა. უკანასკნელი ცნობებით ჩემპიონს თავი არ გაუსივდა.

რედაქტორი ი. უგულავა.

მზადდება დასაბეჭდად ფოტოალბომი, რომელიც ასახავს საქართველოს სპორტსმენთა მიღწევებს საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადიდან დღემდე. ალბომის სარედაქციო კოლეგიას ესაჭიროება ფოტოსურათები სპორტულ თემაზე (რესპუბლიკური, საკავშირო, საერთაშორისო შეჯიბრებები, ეტიუდები და სხვ.).

ფოტორეპორტიორებმა და ფოტომოყვარულებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ალბომის სარედაქციო კოლეგიის მუშაობაში, სურათები უნდა წარმოადგინონ გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში 20 თებერვლამდე.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05837